



IIDS

14/ 05/ 2020 # . გ-023 . .

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორს ბატონ დავით გურგენიძეს

ბატონო დავით,

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ "განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში აცხადებს ღია კონკურსს აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტების სწავლის ღირებულების დასაფინანსებლად.

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელოთ თქვენი უნივერსიტეტის ფარგლებში, რათა მატერიალური თანადგომა მიიღონ იმ ნიჭიერმა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებმა, რომელთაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ჩვენი ფინანსური მხარდაჭერა სრულფასოვანი განათლების მისაღებად.

განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა უნდა შეავსონ განაცხადები ვებ გვერდზე: <https://iids.ge/> და ატვირთონ საჭირო საბუთები. დაფინანსების პირობები განთავსებულია, როგორც ვებ-გვერდზე, ასევე ჩვენს ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდებზე: International Initiative for Development and Support IIDS".

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსით ჩვენი მიზანდასახული და ნიჭიერი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდასაჭერად. პირობას გაძლევთ, რომ ყველა სიახლე, ჩვენი საგრანტო პროგრამების და დაგეგმილი ფინანსური აქტივობების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

პატივისცემით,

ვახტანგ ფოჩხუა

დირექტორი